საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

29 12 2021 წ. №274 ქ. თბილისი

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/9) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე

სსიპ - „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების მე-4 მუხლის პირ მე-2 პუნქტისა და სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული .. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/9) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი".

2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვული ცენტრის IT სპეციალისტს დავით ყურაშიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების

კონკურსზე (კონკურსი №2/9) **შემოტანილი პროექტების შეფასების წესი**

1. სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 29 ოქტომბერს #195 ბრძანებით გამოცხადებული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2021 წლის პროექტის დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/9) შემოტანილ პროექტებს განიხილავს სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ეროვნული კინოცენტრის) საექსპერტო კომისია, რომელიც შედგება 5 წევრისგან.

2. საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან №2/9 კონკურსზე შემოტანილ პროექტებს,რის შემდეგაც დათქმულ დროს დგება პროექტების პრეზენტაცია და გასაუბრება თითოეული პროექტის ავტორთან, ამის შემდეგ კომისიის წევრები კომისიის სხდომაზე აფასებენ პროექტებს თანდართული დანართი 1-ით განსაზღვრული ფორმით 1-დან 10 ქულამდე და წარმოადგენენ მინიჭებული ქულის წერილობით არგუმენტაციას.

3. კომისიის წევრები ახორციელებენ პროექტის შეფასებას თანდართული დანართ 2-ის გათვალისწინებით.

4. საბოლოო შედეგი მიიღება ქულათა დაჯამების შედეგად, საექსპერტო კომისია კონკურსის შედეგებს ეროვნულ კინოცენტრს დასკვნის სახით წარუდგენს.

5. საექსპერტო კომისია რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ კინოცენტრს დააფინანსოს ის პროექტები, რომლებიც მიიღებენ ქულათა მაქსიმუმს.

6. ეროვნული კინოცენტრი საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის თაობაზე და თითოეული პროექტისთვის დაფინანსების ოდენობას განსაზღვრავს.

დანართი 1

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროექტის განვითარების რეიტინგული სია

კონკურსი **№2/9**

N	პროექტი	შეფასება
1.		
2.		
3.		
4.		
5.		
6.		
7.		
8.		
9.		
10.		
11.		

დანართი 2

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების შეფასების წესი

კონკურსი №2/9

- *გთხოვთ, პროექტის შეფასებისას ყურადღება გაამახვილოთ შემდეგ კომპონენტებზე:*

1. **სცენარი**
   - იდეა / თემა
   - დრამატურგია
   - პერსონაჟები
2. **რეჟისორი**
   - რეჟისორის მოტივაცია
   - ხედვა
   - ვიზუალური მხარე
   - წინა ნამუშევარი
3. **პროდიუსერი**
   - პროდიუსერის მოტივაცია
   - წინა ნამუშევარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- გთხოვთ, პროექტი შეაფასოთ ერთი საერთო ქულით 1-იდან 10-ის ჩათვლით და ეს ქულა ჩაწეროთ რეიტინგული სიის შესაბამის გრაფაში.

- გთხოვთ, წერილობით წარმოადგინოთ თქვენს მიერ მინიჭებული ქულის არგუმენტაცია. ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 ნაბეჭდ გვერდს.

მ